

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი

01.10.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე; ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;

ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;

ლევან იმაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნოდარ შურლაია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; თინათინი დვალიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

არჩილ ფრანგიშვილი - რექტორი;

ქეთევან ქოქრაშვილი - კანცლერი;

ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი კულდონაშვილი - სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
ვაჟა პაპასკირი - საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი;
ეკა ნარეშელაშვილი - მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროფრამების ჯგუფების უფროსი;
გიორგი აბრამიშვილი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
თამარ წერეთელი - სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნიკოლოზ ნებიერიძე - ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან კოტეტიშვილი - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
ალექსანდრე ზედელაშვილი - საერთაშორისო ურთიერტობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტები):

ლია ღლონტი;
ირინა დარჩია;
ავთანდილ თავხელიძე;
მაია შიშნიაშვილი;
გიორგი ქურდიანი;
ლილი შატბერაშვილი-გოგიაშვილი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ ახალაძე;
ფრიდონ გოგიაშვილი;
მადონა გოგობერიშვილი.

სხვა დამსწრე პირები:

ნანა როსტომაშვილი - „კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაცია“;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ხუბუნაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:05 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.



საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭო განიხილავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხებსაც, ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ორი პირი - შორენა ჯაფარიძე და შორენა ხუბუნაია. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.



1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა: ლევან იმნაიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოკრატის კათსიკასმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საბჭოს წევრებს ასევე დეტალურად გააცნო ადგილობრივმა ექსპერტებმაც:

- ხელახლა განსაზღვრეთ სტუ-ს მისიის განაცხადი, რათა მიუთითოთ სტუ-ს როლი ადგილობრივად ან/და საერთაშორისო მასშტაბით და ასხოთ მისი განმასხვავებელი მახასიათებლები იმისათვის, რომ საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს საშუალება მვაფიოდ გაიგოს თუ რას წარმოადგენს სტუ;
- განიხილეთ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა დარწმუნდეთ, რომ ორგანიზაცია აგროვებს და აანალიზებს ყველა შესაბამის მონაცემს;
- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიზნებისათვის, შეიმუშავეთ გაზომვადი, დროში გაწერილი ამოცანები და გამოყავით რესურსები კონკრეტული ქმედებებისათვის;
- ყველა ორგანიზაციული ერთეულისათვის შეიმუშავეთ დეტალური სამოქმედო გეგმა;
- შეიმუშავეთ და აამოქმედეთ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის წესები და პროცედურები;
- გადახედეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით; მათ შორის შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში ადამიანური რესურსების რაციონალიზაციის კუთხით და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ვალდებულებების გადანაწილებით, რათა თავიდან იქნას აცილებული კომპეტენციებისა და მოვალეობების გადაფარვა და ძალისხმევის დუბლირება;
- შეიმუშავეთ გეგმა ან გეგმების კომპლექტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუ-ს მირითადი საქმიანობის პროცესების უწყვეტობას. ეს გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პრევენცია შეუძლებელია, ჩამოაყალიბეთ მათი შემცირების სტრატეგია;
- შეიმუშავეთ და გამოიყენეთ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგები უნივერსიტეტის მართვის პროცესში, რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები სათანადოდ იზიარებდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შედეგებს;
- გამოიყენეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სისტემატურად, რეგულარულად და პერიოდულად;

- მოახდინეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების ოპტიმიზაცია;
- უზრუნველყავით სტუდენტთა კვლევის პროცესის ანონიმურობა და აცნობეთ სტუდენტებს მიღებული ზომების შესახებ;
- მოახდინეთ არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების კონსოლიდაცია და დაამატეთ მათ ყველა საჭირო დამატებითი მექანიზმი, რათა ჩამოაყალიბოთ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც სრულად და ზუსტად აღწერს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას;
- შეიმუშავეთ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და სათანადო მექანიზმების გაუმჯობესების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების პროცესი უნდა გახდეს უფრო გახსნილი, გაჭვირვალე, ინკლუზიური და ანალიტიკური, სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა რეალური და არა ფორმალური მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს უფრო ყოვლისმომცველი და ზუსტი;
- პროგრამის შეფასებაში ისარგებლეთ PDCA ციკლით, გაითვალისწინეთ პროგრამის საგნობრივ-სპეციფიკური მახასიათებლები და რესურსების ხელმისაწვდომობა (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური);
- უზრუნველყავით პედაგოგთა მომზადება სწავლებისა და შეფასების მეთოდებში და ამისათვის გამოიყენეთ პროფესიული განვითარების ცენტრის რესურსები;
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამები ადეკვატური ინფრასტრუქტურით;
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამები ადეკვატური ფინანსური რესურსებით, განსაკუთრებით მათი კვლევითი კომპონენტები;
- გადახედეთ სასწავლო მასალებს სილაბუსებში, განსაკუთრებულით მოძველებულ ლიტერატურასა და სწავლების ენას;
- გადახედეთ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობას მიწოდებული სასწავლო მასალების შესაბამისად;
- უზრუნველყავით, რომ სტუ-ს ყველა დაინტერესებული მხარე იცნობდეს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს;
- ისარგებლეთ PDCA ციკლით შეფასების სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში შეიტანეთ ცვლილებები;
- შეიმუშავეთ სტუდენტებისათვის უკუკავშირის სისტემა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ უკეთესი აკადემიური მოსწრება და შეფასების სისტემის გამჭვირვალობა;
- შეიმუშავეთ მაღალკვალიფიციური ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე რეკრუტირების სტრატეგია;
- დაადგინეთ პერსონალის - როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული - სავალდებულო და რეგულარული გადამზადების მკაფიო წესები;
- შეიმუშავეთ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციების, პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების, სწავლებისა და კვლევითი აქტივობების შეფასების სისტემატური და კარგად განსაზღვრული გეგმა და განახორციელეთ ამ გეგმის შესრულების მკაფიო მონიტორინგი;
- აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალი უკეთ უნდა იყოს ინფორმირებული ბოლონის წესებზე დაფუძნებულ დატვირთვის რეგულაციებზე;
- სტუ-მ უნდა შეარჩიოს ერთი საკონტაქტო პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც იქნება პასუხისმგებელი კარიერული ხელშეწყობის სერვისებზე, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციაზე, და სტუდენტთა დახმარებაზე სათანადო სამსახურის მოძიებაში;
- გააუმჯობესეთ სტუ-ს ცხრილები და გახადეთ ინფორმაცია ხელმისაწვდომი როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ ენაზე;
- ჩაატარეთ სტუდენტებისათვის ანონიმური კვლევები;

- დაიწყეთ სტიპენდიების თაობაზე რიგი პროცესების ფორმალიზება და შექმენით სტანდარტი, რომელიც იქნება საჯარო, ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი და მისცემს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს;
- მოახდინეთ სადოკტორო დისერტაციის დაცვისა და ხარისხის მინიჭების პროცესის რეორგანიზაცია. მნიშვნელოვნად გაზარდეთ სადისერტაციო საბჭოს წევრთა რაოდენობა და გარე წევრების მონაწილეობა გახადეთ სავალდებულო. სადოკტორო დისერტაციის დაცვა უნდა ხდებოდეს სადისერტაციო კომიტეტის წინაშე, რომელშიც უნდა შედიოდეს გარე ექსპერტებიც. სადისერტაციო ნაშრომი უნდა მტკიცდებოდეს არა მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ, არამედ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, ან რომელიმე სხვა ცენტრალური ერთეულის მიერ;
- განათავსეთ აკადემიური და კვლევითი პერსონალის CV და პუბლიკაციების სია ვებ-გვერდზე;
- ორგანიზება გაუკეთეთ Google Scholar პროფილის შექმნას კვლევითი პერსონალისათვის;
- აღნიშნეთ ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი (Scopus იმპაქტ-ფაქტორი ან ISI იმპაქტ-ფაქტორი) სტუ-ს მონაცემთა ბაზის კვლევითი სტატიების ბიბლიოგრაფიულ აღწერაში (<http://science.gtu.ge/>);
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს მატერიალური რესურსების გათვალისწინებით;
- უნდა ჩატარდეს თითოეული შენობის საჭიროებების შეფასება ავტორიზაციის 7.1. სტანდარტის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის იდენტიფიცირების მიზნით;
- განახლებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა აწვდიდეს დაინტერესებულ მხარეებს მკაფიო სტრატეგიულ ხედვას, გრაფიკა და ფინანსურ გათვლებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე;
- უფრო ეფექტური ზომები უნდა იქნეს გატარებული იმ ხარვეზის შესავსებად და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად, რომელიც საჭიროებს ნაკლებ ფინანსურ რესურსებს;
- ბიბლიოთეკის „სამკითხველო დარბაზის“ პერსონალი უნდა გადამზადდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების სარგებლობის საკითხებში;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციების მიერ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური ზომები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების გამოყენებაში;
- სტუდენტთა და პერსონალის კვლევები, ფოკუს-ჯგუფები უნდა იქნეს ორგანიზებული იმისათვის, რომ გაიზომოს სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილება საბიბლიოთეკო მომსახურებების განვითარებით. შეფასების შედეგები უნდა იქნეს გამოყენებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის კულტურის განვითარებისათვის;
- უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა საჭიროებს გადახედვას, რათა შეტანილ იქნეს დაგეგმილი აქტივობების ფინანსური გათვლები, ისევე, როგორც შესრულების მირითადი მაჩვენებლები;
- ეფექტური და ეფექტური რისკების მართვის სისტემა უნდა იქნეს შემუშავებული და განხორციელებული;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების პრიორიტეტული სფეროები უნდა იქნეს იდენტიფიცირებული არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

დაწესებულების რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის, განცხადებით, ექსპერტთა მხრიდან გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა რჩევას წარმოადგენდა, ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო, რომ ექსპერტთა მხრიდან ძალიან ბევრი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა იყო გაკეთებული. მაგალითად, ერთ-ერთი კომპონენტის მიხედვით, ინტერნაციონალიზაცია სრულ შესაბამისობაში



ოყო მოთხოვნებთან, მაშინ, როდესაც სხვა კომპონენტში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაცია საერთოდ არ არსებობდა.

რაც შექებოდა დაწესებულების მისიას, არჩილ ფრანგიშვილის, განცხადებით, მისიაში ნათლად ჩანდა, რომ იგი წარმოადგენდა ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მისია ჩამოყალიბებული იყო არა მხოლოდ საუნივერსიტეტო, არამედ ფართო საზოგადოების უპრეცედენტო მონაწილეობით. რექტორის განმარტებით, ექსპერტთა მხრიდან იყო შენიშვნა, თუ რატომ იყო მისიაში ჰუმანიტარული, იურიდიული და სხვა მიმართულებები მოხსენიებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასასმელი იყო, რომ ნოემბერში ჩინეთის მთავრობის ინიციატივითა და დაფინანსებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნება ჩინეთის შემსწავლელი ინსტიტუტი. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩინეთის მთავრობის მხრიდან მიღებული იყო სწორედ დაწესებულებაში ჩატარებული ინტერდისციპლინარული კვლევების გაცნობის შედეგად. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ აღნიშნული კომპონენტი შეფასებული უნდა იყოს, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დაწესებულების სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებით, დაწესებულების რექტორის განმარტებით, როცა საუბარია SWOT ანალიზზე, აღსანიშნავი იყო, რომ შეფასება ზდებოდა როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ხოლო სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას მდგრადობის ტენდენციების შეფასების მიზნით ხორციელდებოდა ხარისხობრივი შეფასება. ხაზგასასმელი იყო, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება წარმოადგენდა რთულ სისტემას, რომელსაც გააჩნდა თავისი მართვის კანონები.

დაწესებულების რექტორი გამოეხმაურა ფაქტს, რომ ინტერვიუების მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ მენეჯმენტი და პერსონალი ხედავდა არსებულ დამატებით ბარიერებსა და საშიშროებებს და მათ ზეგავლენას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე, თუმცა, ისინი არ იყო აღწერილი და გათვალისწინებული სტრატეგიული განვითარების გეგმაში. ერთი მაგალითი ასეთი საშიშროებისა, როგორც ეს დასახელდა უსდ-ს წარმომადგენლების მიერ, იყო საქართველოს სკოლებში განათლების დაბალი ხარისხი, რომლის შედეგიც იყო პირველი კურსიდან გარიცხულ სტუდენტთა დიდი რაოდენობა, ამასთან დაკავშირებით არჩილ ფრანგიშვილმა, აღნიშნა, რომ პირველი კურსიდან აკადემიური მოუსწრებლობის გამო არცერთი სტუდენტი არ იყო გარიცხული და აღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამებოდა რეალობას.

საბჭოს წევრის, რამაზ საყვარელიძის, განცხადებით, აღნიშნულ სტანდარტში იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და მიიჩნევდა, რომ დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულების შეფასებისას მათ იხელმძღვანელეს სტანდარტის მოთხოვნით. მაგალითად, მისიის შეფასებისას სტანდარტი მოითხოვდა, რომ მისია უნდა განსაზღვრავდეს უსდ-ს როლს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და გამოყოფილი იყოს მისი განმასხვავებელი ნიშნები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მისიაში კი, ექსპერტთა განცხადებით, არ ჩანდა ადგილობრივი და საერთაშორისო დონეზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განსხვავებული როლი. მათი აზრით, ინტერვიუს დროს გამოკვეთილი იყო სხვა მიმართულებები, რომელიც, შესაძლოა ასახულიყო დაწესებულების წარმოდგენილ მისიაში. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ კონკრეტულ მაგალითებზე. ექსპერტთა განცხადებით, მაგალითისთვის, შესაძლებელი იყო განხილულიყო გამოყენებითი

მეცნიერების მიმართულება, რაც, მათი თქმით, გამოკვეთდა უნივერსიტეტის როლს. დაწესებულების რექტორის განცხადებით, დაწესებულების მისაში ნათლად იყო ასახული აღნიშნული მიმართულება, რაც არაერთი დოკუმენტით დასტურდებოდა.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში შექმნილი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სტანდარტის სამსახური, რომელიც წერგავდა მართვის ხარისხის სისტემას ISO9001:2008, რომლის მიხედვითაც, დაწესებულების მართვის სისტემა სრულ შესაბამისობაში იყო ISO-ს მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულების მთავარი სტრატეგიული გეგმისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმების ურთიერთვავშირით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ერთეულს ჰქონდა საკუთარი სამოქმედო გეგმა, რომელიც, შესაბამისად, ემსახურებოდა და დაკავშირებული იყო უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიულ გეგმასთან.

მე-2 სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ რექტორისადმი სტრუქტურული ერთეულების უმრავლესობის დაქვემდებარება ლოგიკურია, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით რექტორი არის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი“. დაწესებულების ხელმძღვანელობა გულისხმობდა შემავალი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულებას ხელმძღვანელის მიმართ და, შესაბამისად, არცერთი სამართლებრივი აქტით არ იზღუდებოდა რექტორისადმი პირდაპირ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა. რაც შეეხება ზოგიერთი ერთეულის ორმაგ დაქვემდებარებას, მათი ფუნქციებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, ისინი ანგარიშვალდებულნი იყვნენ, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელის, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის წინაშე. დაწესებულების რექტორის განმარტებით, უნივერსიტეტი იყო ბიზნეს პროცესების მართვის სისტემა, ყველა გადაწყვეტილება კი, რომელიც მიიღებოდა უნივერსიტეტში, ეს იყო ბიზნეს პროცესის ნაწილი. არჩილ ფრანგიშვილმა განმარტა, რომ ყველა ფაკულტეტზე არის მენეჯერის პოზიცია, რომელიც შეიქმნა დეკანის მოადგილის ნაცვლად. მენეჯერს ეხებოდა ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მენეჯერის შერჩევის პროცესით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, მენეჯერი ინიშნებოდა რექტორის მიერ. იგი ანგარიშვალდებული იყო რექტორის, კანცლერის, დეკანისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. ასევე, შესაძლოა, იკავებდეს აკადემიურ თანამდებობასაც. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ახლანდელი მენეჯერი არის ყოფილი დეკანის მოადგილის ფუნქციის შემსრულებელი. არ იყო შეცვლილი დანიშვნის წესიც კი. მხოლოდ დაემატა რიგი ფუნქციები, რომელიც მოიცავდა ფინანსურ და მატერიალურ საკითხებს.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა კოორდინატორების სამუშაო ფუნქციის საკითხით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, კოორდინატორის თანამდებობას იკავებდა აკადემიური პერსონალი, რომელიც კოორდინირებას უწევდა პროგრამებს და მას გადაკვეთა არ ჰქონდა მენეჯერის ფუნქციებთან.

გადაუდებელი აუცილებლობის გამო საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ.



საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების მიზეზით. ექსპერტთა განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილების მიზეზი საავტორიზაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან ერთად, იყო შეფასების სისტემის ცვლილება. კერძოდ, ძველი სისტემა იყო ხისტი, ახალი შეფასების სისტემა კი, უფრო მეტად მოქნილი გახდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ირინე დარჩიას, განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტისას, მას ჰქონდა ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის შესაძლებლობა. მისი განცხადებით, ყურადღება გასამახვილებელი იყო სადისერტაციო ნაშრომებზე, რომელთა ხარისხიც იყო ძალიან დაბალი და ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა სადოქტორო საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, ყველა საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილების მიზეზი იყო მათი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, და პრაქტიკის კომპონენტის დამატება. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ხაზგასასმელი იყო, რომ დაწესებულება ახორცილებდა ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას სამედიცინო ფიზიკაში იულიხის კვლევით ცენტრთან. რაც შეეხება შეფასების სისტემას, 2010 წლიდან უკვე ფუნქციონირებდა აღნიშნული შეფასების სისტემა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ლია ღლონტის, განცხადებით, ინტერვიურებისას, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან პროგრამების, კურიკულუმებისა და სილაბუსების, ცვლილების მთავარ მიზეზად დასახელდა სწორედ შეფასების სისტემის შეცვლა. თუკი აღნიშნული სისტემა უკვე არსებობდა, მაშინ კითხვა ჩნდებოდა, თუ რა გახდა პროგრამებში ცვლილებების შეტანის მთავარი მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, შეფასების სისტემა 2010 წლიდან არსებობდა, თუმცა, შეიცვალა კრიტერიუმები. კერძოდ, მაგალითად, 2 შუასემესტრული გამოცდა შეიცვალა 1 შუასემესტრულ გამოცდით, ყოველკირეული 2 ქულიანი შეფასება გადავიდა მოქნილ შეფასებაზე, საბოლოო გამოცდა კი დარჩა უცვლელად.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ მნიშვნელოვანი, არსებითი ცვლილება შეფასების სისტემაში არ იყო განხორციელებულა.

მე-4 სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურა იყო გამჭვირვალე და ეყრდნობოდა მათ კვალიფიკაციისა და გამოცდილებისა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ შესაბამის დოკუმენტაციას. ბოლო რამდენიმე წელიწადია დანერგილი იყო საბონუსე სისტემა, რის მიხედვითაც ფაკულტეტი განიხილავდა და აფასებდა ყველა აკადემიურ პერსონალს. ასევე, ფუნქციონირებდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც სასწავლო პროცესს აკონტროლებდა. ასევე, არსებობდა ლექციების მონიტორინგი. კერძოდ, ყველა ლექცია დაწესებულებაში იწერებოდა და მიმდინარეობდა თვეში ერთხელ მისი მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ზომებს მიმართავდა დაწესებულება იმ შემთხვევაში, თუკი აკადემიური პერსონალი ლექციის ჩაწერაზე არ იყო თანახმა. დაწესებულების რექტორის



განცხადებით, თუკი აკადემიური პერსონალი კითხულობდა ლექციებს, დაწესებულებას უნდა ჰქონოდა მისი მონიტორინგის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკადემიურ პერსონალს მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ექნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი ზღუდავდა აკადემიურ თავისუფლებას. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ვინ აფასებდა აღნიშნული ლექციების ჩანაწერს. დაწესებულების რექტორის განმარტებით, აღნიშნულ ჩანაწერს ეცნობოდა და აფასებდა შესაბამისი დარგობრივი კომისია. დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, კომპონენტი 4.1-ს აღწერითი ნაწილი იყო უმეტესად დადებითი, თუმცა, კომპონენტის შეფასება იყო როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მე-5 სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ელექტრონული აპლიკაცია აძლევდა სტუდენტებს შესაბამისი ენის შერჩევის შესაძლებლობას. რაც შეეხება გამოკითხვის ანონიმურობას, სტუდენტს გამოკითხვის დაწყებამდე შეტყობინების სახით ეგზავნებოდა გაფრთხილება, რომ მის მიერ გამოკითხვაში მონაწილეობა იყო ანონიმური და უნივერსიტეტს შეეძლო გამოკითხვის შედეგები გამოიყენებინა საჭიროებისამებრ.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა, თუ რატომ იყო საავტორიზაციო ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის სტუდენტთა მონაცემები იდენტიფიცირებული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რაც შეეხებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის გამოკითხულ სტუდენტთა სის ნაწილის გადაცემას, უნივერსიტეტის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებული ყოფილიყო გამოკითხვის სისტემის გამართულობასა და უტყუარობაში.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა, რამდენი სტუდენტისგან და რა სახით მიიღო დაწესებულებამ თანხმობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ მიიღო თანხმობა 1 800-მდე სტუდენტისგან, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით.

მე-6 სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ავთანდილ თავხელიძის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფში მხოლოდ თავმჯდომარე და თავად გახლდნენ ტექნიკური კვალიფიკაციის, შესაბამისად, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში მას ხშირად უწევდა ექსპერტთა სხვა წევრებისთვის ტექნიკური სპეციფიკის ახსნა. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, თუკი ექსპერტთა ჯგუფში უმეტესობა წევრი იქნებოდა ტექნიკური კვალიფიკაციის, მისი აზრით, მათი შეფასება იქნებოდა გაცილებით მაღალი. მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებაში რამდენიმე სახით მიმდინარეობდა კვლევითი საქმიანობის შეფასება, რომელიც იყო გამჭირვალე, ფორმალიზებული და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ესენია: საფაკულტეტო გრანტები, საუნივერსიტეტო გრანტები და კვლევითი ინსტიტუტების მიერ გაკეთებული შეფასება. აღნიშნული ინფორმაცია ყოველწლიურად ჯამდებოდა და გარე შეფასების სახით, კანონის თანახმად, ფასდებოდა მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ამასთანავე, საერთაშორისო პროექტების შემთხვევაში, ცალკე ხორციელდებოდა მათი შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის ლილი შატბერაშვილი-გოგიაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი შეთანხმდა იმ შეფასებებზე, რაც დასკვნაში იყო ასახული. შესაბამისად, ზეპირს მოსმენაზე მისთვის მიუღებელი იყო ავთანდილ თავხელიძის მხრიდან მსგავსი შეფასებისა

და პოზიციის დაფიქსირება. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებმაც.

რაც შეეხება კვლევით საქმიანობას, რექტორის მხრიდან დასახელდა ბოლო 1 თვის განმავლობაში განხორციელებული კვლევითი საქმიანობა - ევროპული კოსმოსური სააგენტოს საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მოწვეული იყო ყველა კოსმოსური მიმართულებით მომუშავე ორგანიზაცია. ევროპული კოსმოსური სააგენტოს ექსპერტის წერილის თანახმადაც, სააგენტო მოუწოდებდა წევრ ქვეყნებს საქართველოს მაგალითის გაზიარებას. ასევე, აღსანიშნავი იყო კომეტ ექსპერიმენტის საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა, ცერნის კონფერენცია და ა.შ. ამასთანავე, კვლევითი საქმიანობის განხილვისას აღსანიშნავი და ხაზგასასმელი იყო, აღნიშნული მიმართულებით დაცული დისერტაციები.

მე-7 სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, ფინანსური რესურსების შეფასებისას მტკიცებულებები და ინდიკატორები განსაზღვრავდნენ დაწესებულების მდგომარეობას. გაუგებარი იყო, სტანდარტში მოთხოვნილი ინდიკატორებით, როგორ დგინდებოდა უნივერსიტეტის სამომავლო ფინანსური მდგომარეობა, მითუმეტეს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განხილული იყო სხვა სტანდარტებში, რა თქმა უნდა, შესაბამისი ინდიკატორებითა და მტკიცებულებებით. რაც შეეხება მატერიალური რესურსების კომპონენტს, დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას. სამედიცინო კაბინეტებში ცხელი წყლით უზრუნველყოფა მცირე თანხებთან იყო დაკავშირებული და იქნებოდა აღმოფხვრილი ერთი თვის ვადაში. დაწესებულება არ ეთანხმებოდა შეფასებას, რომ შენობები აღჭურვილია ლიფტებით, მაგრამ მათთან მისვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ კიბის გავლით. მათი განმარტებით, აღნიშნული არ შესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას, რადგან მე-6, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კორპუსები აღჭურვილი იყო ლიფტებით, სადაც შშმ პირებს თავისუფლად შეძლოთ გადაადგილება.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 21:25 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 22:10 საათზე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ზეპირ მოსმენაზე არ იყო მარტივი. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, თავიდან განიხილეს არგუმენტები და საბოლოოდ, მიღწეული იქნა კონსესუსი საბჭოს წევრებს შორის. საბჭომ მიიჩნია, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, ექსპერტთა შეფასება საჭიროებდა გაუმჯობესებას. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასების გაუმჯობესებას საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირა 1.2 და 2.2 კომპონენტებთან მიმართებით. კერძოდ, სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებით, საბჭომ მიიჩნია, რომ ის მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, რაც დასტურდებოდა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი გეგმებითა და არგუმენტებით. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის იმ მოსაზრებაზე, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ბევრი აქტივობა არ იყო მოცემული, მაგრამ ინტერვიუების დროს ნათლად გამოვლინდა რომ ეს აქტივობები რეალურად ხორციელდებოდა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო ეყრდნობა როგორც ფაქტობრივ მდგომარეობას მოწოდებულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ასევე საბჭოს სხდომაზე გამართულ განხილვას.

ასევე, საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, გაუმჯობესებას საჭიროებდა 2.2 კომპონენტი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო მიიჩნევდა, რომ ის მაშტაბური სამუშაო რაც უკვე დაიწყო, როგორიცაა მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების განახლება ვერ განხორციელდებოდა ხარისხის შიდა მექანიზმების არსებობის გარეშე. შესაბამისად, დასტურდება რომ ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები იყო ფუნქციონირებადი. კომპონენტ 2.2-ის გაუმჯობესება, საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, იწვევდა მთლიანად სტანდარტ 2-ის გაუმჯობესებასაც. შესაბამისად, მე-2 სტანდარტი შეფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭო ასევე მიიჩნევდა, რომ 4 სტანდარტთან მიმართებით, 4.1 კომპონენტი - პერსონალის მართვა - საჭიროებდა გაუმჯობესებას, რადგან გამოჩენდა, რომ პერსონალის არჩევიდან დაწყებული შესაბამისი მექანიზმები არსებობს.

მე-5 სტანდარტთან მიმართებით, საბჭომ მიიჩნია, რომ 5.1 კომპონენტი საჭიროებდა გაუმჯობესებას და სრულ შესაბამისობის დადგენას სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან საბჭომ მიიჩნია, რომ შესაბამისი რეგულაციების ბაზა არსებობდა და ეს მათ მოისმინეს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელისგანაც. მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის გაუმჯობესება და სრულ შესაბამისობად დადგენამ, შესაბამისად, გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ის შეფასდებოდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მე-6 სტანდარტთან მიმართებით, საბჭომ მიიჩნია, რომ 6.3 კომპონენტი „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგან ზეპირი განხილვის დროს დადასტურდა, რომ არსებობდა, როგორც შეფასების გარე, ასევე შიდა მექანიზმები, რომლებიც საჭიროებდა დახვეწას.

მე-7 სტანდარტთან მიმართებით, საბჭომ მიიჩნია, რომ 7.1 კომპონენტის (მატერიალური რესურსები) შეფასება საჭიროებდა გაუმჯობესებას და მეტწილად შესაბამისად შეფასებას, რადგან საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭომ იმსჯელა და აქცენტი გააკეთა არა იმაზე, რა მდგომარეობაშია იყო ამჟამად დაწესებულება, რომელიც საჭიროებდა გაუმჯობესებას, არამედ იმაზე, რომ უნივერსიტეტის გააჩნდა შესაბამისი ხედვა და კონკრეტული გეგმა, თუ როგორ გაეუმჯობესებინა აღნიშნული რესურსები. საბჭოს განცხადებით, 7.1 კომპონენტი ნამდვილად საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ საბჭომ სრული შესაბამისობა კომპონენტის მოთხოვნებთან არ დაადგინა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა აქტიურად უნდა იმუშაოს მატერიალური რესურსების გაუმჯობესებისა და განახლების მიმართულებით. 7.4 კომპონენტთან დაკავშირებით კი საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპონენტის შეფასება რჩებოდა იგივე „ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგან უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ფინანსური რესურსები ვერ იყო შესაბამისი უნივერსიტეტის გამოწვევებთან და ამბიციებთან. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, უნივერსიტეტისთვის 7.4 კომპონენტის მოცემული შეფასება იქნებოდა ერთგვარი ბერკეტი, რომ განიხილოს ეს საკითხი სახელმწიფოსთან და შესაბამის დონორებთან. საბჭოს განცხადებით, მე-7 სტანდარტის მთლიანი შეფასება გაუმჯობესდა და გახდა მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.1 კომპონენტთან დაკავშირებით, საბჭომ დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იყო კომპლექსური ორგანიზაცია, ყველა იმ ინოვაციის განხორციელება, რომლებიც დაწყებული იყო საჭიროებდა დროს და უნივერსიტეტი არსებულ რისკებსა და გამოწვევებს ხედავდა, შესაბამისად, მოცემულ მდგომარეობაში ეს შეფასება ადეკვატური იყო.



საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ცენტრის წარმომადგენელს, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდა უნივერსიტეტს დღეს განსაზღვრული კვოტით. ცენტრის წარმომადგენელის ლაშა მარგიშვილის განცხადებით უნივერსიტეტს ჰყავდა 25 342 სტუდენტი და თვითშეფასების ანგარიშით მოთხოვნილი იყო 26 516 სტუდენტი. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით ეს რაოდენობა არ მოიცავდა მოთხოვნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რაოდენობას, რაც შეადგენდა 1 174 პროფესიულ სტუდენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 27 690-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 27 690-ით. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წლის ვადა.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ფრიდონ გოგიაშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები კომპონენტების მიხედვით:

- 1.1. საავტორიზაციოდ წარმოდგენილ პროგრამებში შეფასების სისტემა უნიფიცირებულია და მირითადად მოიცავს ტესტირების სისტემას (სამი შუალედური ტესტირება და დასკვნითი გამოცდა), რაც ზოგადად კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს შესაბამის სწავლის შედეგების დადასტურებას. შეფასების მოღითიცირება განსაზღვრულია დოკუმენტით - „სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუციით“ - შესაბამისად სასურველია, აღნიშნული დოკუმენტი არ ზღუდავდეს საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის შესაბამისად, სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტების, ფორმების და კრიტიკულების მრავალფეროვნებას, მიუხედავად პროგრამების მიღევად რეჟიმში მიმდინარეობისა, დარჩენილი ვადაში სწავლის შედეგების უზრუნველყოფის გაზრდის მიზნით;
- „სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუციით“ არ არის განსაზღვრული პროფესიული მასწავლებლის ცნება (ფიგურირებს - მასწავლებელი/პროფესორი), შესაბამისად სასურველია მასში რელევანტური ცვლილების შეტანა
- ამავე ინსტრუქციის 3.5.; 3.6. და 3.11. პუნქტები დასაკორექტირებელია, ვინაიდან მოიცავს ერთმანეთის გამომრიცხველ ინფორმაციას (3.5. - მეცადინეობებზე აქტიურობის შეფასებები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: პრობლემის განხილვასა და დისკუსიაში მონაწილეობას; ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარებას და სხვა (რაც ზოგადად გაცილებით ლოგიკურია, თუმცა პროგრამებში შეფასების სისტემა უნიფიცირებულია 3.6. პუნქტის შესაბამისად) - 3.6. - დასკვნითი გამოცდის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა არის 30. დანარჩენი ქულები ნაწილდება შუალედურ გამოცდებზე (ტესტირებებზე). 3.11. - საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არაა

ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე (რეალურად კი - აუცილებელია და ადმინისტრაციის წარმომადგენლების (სასწავლო პროცესის მართვა) განმარტებით ტექნიკური უზუსტობაა), შესაბამისად სასურველია გასწორდეს აღნიშნული უზუსტობები „სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“:

1.1. სასურველია პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიეთითოს კონკრეტულად რომელი პროგრამის/მოდულის განხორციელების უზრუნველსაყოფად ფორმდება ესა თუ ის მემორანდუმი/ხელშეკრულება და განისაზღვროს ძირითადი მიზანი და უფლება-მოვალეობები.

1.1 სასურველია მოხდეს მოდულების სრული ადაპტაცია რეკომენდაციების შესაბამისად.

1.2. სასურველია კატალოგში იყოს შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, რომელი წლისაა კატალოგი, პროგრამის ხანგრძლივობა როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, დაშვების წინაპირობა, სად ხორციელდება კონკრეტული პროგრამები ქ. თბილისში. ქ. ტყიბულში თუ დიდ ჯიხაიშში (კატალოგში მითითებულია კონკრეტული საკონტაქტო პირი და მისი სამუშაო ადგილი, თუმცა განხორციელების ადგილის გამოკვეთა გაცილებით ინფორმატიულს გახდიდა კატალოგს).

1.4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების რეკომენდაციების შესაბამისად, დაწესებულება სასურველის ჰქონდეს მკვეთრად გაწერილი ინსტრუქცია/წესი, რაც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტუ-ში ჩარიცხვის ბრძანებისა და სასწავლო/ფინანსური ხელშეკრულებების გაფორმების თანმიმდევრობას, არსებული რეგულაციების შესაბამისად, რისთვისაც, „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებები ვალდებული არიან აღნიშნული წესების შემუშავებისას გაითვალისწინონ შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანება პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე, ასევე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილება პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.

1.4 ფაკულტეტები სასურველია აწარმოებდნენ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვას;

1.4. მარეგულირებელ დოკუმენტებში სასურველია გაიმიჯნოს აკადემიური და პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და სხვა რეგულაციები პროფესიული პროგრამების ადმინისტრირებისა და სასწავლო პროცესის გამარტივების მიზნით.

1.4. სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებული იყოს არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელის იდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტების პირად საქმეში არსებობის აუცილებლობა (თუმცა კანონმდებლობის შესაბამისი ჩანაწერი ფიგურირებს).



1.5. სასურველია, საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელების ვადის ამოწურვამდე (ასევე თანმხვედრი მოდულური პროგრამებისთვის), მოხდეს ურთიერთთანაშრომლობის მემორანდუმების გაფორმება შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან.

1.5. სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაიმიჯნოს აკადემიური პროგრამებიდან.

2.3. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის მოძიების მიზნით, შერჩევით სილაბუსების/სასწავლო მოდულების მიხედვით გადაამოწმეს ადგილობრივი წიგნადი ფონდები სამტრედიასა და ტყიბულში ძირითადი სახელმძღვანელოები სამტრედიაშიც და ტყიბულშიც სტუ-ს ბიბლიოთეკის საკუთრებაა, დამუშავებულია შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით, თუმცა არ ფიქსირდება კონკრეტული ფილიალის საკუთრებად. დაწესებულებას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი შტატით და ეს ფუნქცია ზეპირისიტყვიერად დავალებული აქვს საქმის მწარმოებელს ან მასწავლებელს, ასევე ადგილზე არ იწარმოება წიგნების რეესტრის ჟურნალი შესაბამისი წესების დაცვით და ექვემდებარებიან სტუ ბიბლიოთეკით სარგებლობის ზოგად რეგულაციებს. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესი არ ფერხდება (რადგან საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ სტუ-ის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით) სასურველია დიდი ჯიხაიშის დაწესებულებას ჰქონდეს შესაბამისი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც შესძლებდა საკუთრებაში სასწავლო რესურსების დარეგისტრირებას და ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეული, რომელიც მოემსახურებოდა სტუდენტებს.

2.3. მოდულური პროგრამები ნაწილობრივ ადაპტირებულია. მოდულში მითითებული სარეკომენდაციო ლიტერატურა ზოგ შემთხვევაში არ იძებნება. თუმცა ბიბლიოთეკის ბაზაში არსებობს ალტერნატიული სახელმძღვანელოები. სასურველია მოდულში მითითებული იყოს, რეალურად არსებული.

2.8. „აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის პროფესიული ნ.ნიკოლაძის სახ. აგროინჟინერიის და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი“ წარმოადგენს სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ნაწილს, თუმცა ის არ ჩანს არც ფაკულტეტის დებულებაში და არც ვებ-გვერდზე ატვირთულ ფაკულტეტის სტრუქტურაში. მით უმეტეს, რომ www.naec.ge-ზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების გამოცხადების შემთხვევაში მითითებულია განხორციელების ადგილი ქ. სამტრედია და არა სტრუქტურული ერთეული, შესაბამისად აღნიშნული საფუძვლიან ექვს აჩენს, რომ შესაძლოა ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციები არ იყოს სრული და რელევანტური პროფესიული სტუდენტებისათვის.

- სასურველია აღნიშნული უზუსტობა სტრუქტურასთან დაკავშირებით, გამოსწორდეს;
- სასურველია პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი წესი და დებულებები განთავსდეს ერთად.
- სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველგვარი ინფორმაციის განახლება იყოს რეგულარული. რათა დაცული იქნას ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობა.



2.9. სასურველია სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე სუბ-ტრატეგიის ჩამოყალიბება, რადგან მიგვაჩნია, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების განვითარებისათვის.

3.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის დადგენილებას # 1937 – „ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, რომელიც საერთოა სწავლების ყველა საფეხურის პედაგოგისათვის და არ მოიცავს მცნებას პროფესიული განათლები განათლების მასწავლებლის შესახებ, შესაბამისად არც კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებია ცალკე გაწერილი.

სასურველია დაწესებულებამ ჩამოყალიბოს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფორმალური წესი, რის შესაბამისადაც მოხდება მათი სამსახურში აყვანა (თუმცა მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია ზოგადად ადასტურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და „პროფესიული განათლების შესახებ კანონით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3.3. სასურველია დაწესებულებამ ჩამოყალიბოს და შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის ფორმალური წესი, რითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი და ზოგადად პროფესიული განათლება გაიმიჯნება აკადემიური განათლებისაგან და სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი როგორ ხდება მათთან შრომითი ურთიერთობების გაფორმება, რაც უზრუნველყოფს მათთვის კანონიერი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებას. აღნიშნული ასევე უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევას კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას უზრუნველყოს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციების დაცვა.

ზოგადი რეკომენდაცია: წარმოდგენილია პროფესიები, რომელიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და საწარმოები მზად არიან ყველა პირობა შეუქმნას სტუდენტს მოდულური პროგრამების განხორციელების დროს. მეორეს მხრივ საწარმოს სჭირდება თანამშრომლები და მზად არიან აიყვანოს თანამშრომლად კვალიფიციური კადრი. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია პროგრამების დუალური/ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით განხორციელება.

საბჭოს მოწვეული წევრი, შორენა ჯაფარიძე, დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია ადამიანური რესურსი პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების თვალსაზრისით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მათი შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული პროგრამები ამ ეტაპზე ხორციელდება საფაულტეტო დონეზე, პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების მიმართულებით დასტურდება დაწესებულებაში შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 174-ით განსაზღვრის საკითხი.



კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით
დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13
მუხლის, 25-ე მუხლის 4¹ და მე-5 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 174 -ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა
22:35 საათზე.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე



მდივანი
მაკა გველესიანი

